ხელშეკრულება N41
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი **„05“ თებერვალი 2019 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შამილიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სპარ“ (ვებ-სტუდია) შემდგომში ,,მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის სპარტაკ თიკანაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "შემსრულებელი" "დამკვეთი"-ს გაუწევს შემდეგ მომსახურებას: შემსყიდველის ვებ-გვერდზე “www.batumikids.ge” უზრუნველყოფს ჰოსტინგის შეუფერხებელ მომსახურებას, **CPV - 72415000**;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს, რაც შეადგენს მომსახურების წლიურ სააბონენტო გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
"შემსყიდველ"-ს გაუხსნას ჰოსტინგი დომენზე: www.batumikids.ge, "მიმწოდებლის" სარგებლობაში მყოფ სერვერის სივრცეზე და უზრუნველყოს ჰოსტინგის შეუფერხებელი მომსახურება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
გადაუხადოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში აღნიშნული თანხა აღნიშნული ხელშეკრულების პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებათა გადაცემა

7.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, როგორც მიმწოდებლის, ასევე შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 %;
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 თებერვლამდე.
11.2 ორივე მხარე იტოვებს უფლებას გაწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ;
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა და გადაეცა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42

საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510

მამუკა შამილიშვილი

მიმწოდებლი:

შპს „სპარ"

მის: ქ. თბილისი. ვაჟა ფშაველას ქ N16

საიდენტიფიკაცო კოდი: 205 290 424

სს „ საქართველოს ბანკი “

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ნ: GE53BG 0000 000 855 525 500

სპარტაკ თიკანაშვილი